საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო
კონსერვატორია
თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი:(+995 32) 2 999 144,
www.tsc.edu.ge ელ–ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge

KA000048155881021

№ 04-37-D **06 / დეკემბერი / 2021 წ.**

ბრძანება

სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის საბჭოს წევრთა არჩევნების ჩასატარებლად საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების, საბჭოს წევრობის მსურველი აკადემიური პერსონალის განცხადებების მიღებისა და შესაბამის მიმართულებებზე არჩევნების ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 29–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და 21–ე მუხლის მე–6 პუნქტის, კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 8 ნოემბრის სხდომის (ოქმი #5), კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 04 დეკემბრის სხდომის (ოქმი #7) გადაწყვეტილებებისა და „სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2021 წლის 29 ნოემბრის #43/2021 დადგენილების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. საშემსრულებლო ფაკულტეტის საბჭოს წევრთა არჩევნების ჩასატარებლად დამტკიცდეს საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1.1. თეონა თაყაიშვილი-თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელმწიფო კონსერვატორიის ადმინისტრაციის იურისტი. კომისიის თავმჯდომარე.

1.2. რუსუდან თაბაგარი – თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სასწავლო დეპარტამენტის სპეციალისტი. კომისიის მდივანი.

1.3. დავით ხავთასი – თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი. კომისიის წევრი.

2. საბჭოს წევრობის მსურველი აკადემიური პერსონალი , დასკანერებული სახით ელექტრონულად (დანართი 1) აგზავნის ხელმოწერილ განცხადებას 2021 წლის 8

დეკემბრიდან 2021 წლის 14 დეკემბრის ჩათვლით, შემდეგ მისამართზე kantselaria@tsc.edu.ge

3. საშემსრულებლო ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები აირჩევიან შესაბამისი მიმართულების (იხ.დანართი 2) სხდომაზე ღია კენჭისყრით 17 დეკემბერს.

4. ბრძანება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ასევე ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე და დაეგზავნოს მიმართულების ხელმძღვანელებს.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საშემსრულებლო ფაკულტეტის დეკანი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თეა ბუაძე